

მიმდინარე წლის 11 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრი და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქართული ენის სამმართველო ატარებენ რეგიონულ კონფერენციას „მარჯორი უორდროპი - 150“.

კონფერენცია ეძღვნება მარჯორი უორდროპის დაბადებიდან 150 წლისთავს.

საგანგებოდ ამ დღისთვის იბეჭდება წიგნი „მარჯორი უორდროპის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, რომლის პრეზენტაციაც კონფერენციაზე გაიმართება.



კონფერენციის პროგრამა:

15:00-15:10 კონფერენციის გახსნა

15:10-15:30 თინათინ მარგალიტაძე, მარიკა ოძელი – „მარჯორი უორდროპის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, წიგნის წარდგენა

15:30-15:50 მანანა გელაშვილი – „ავთანდილის ანდერძის“ სამი ინგლისური თარგმანი (მარჯორი უორდროპი, ვენერა ურუშაძე, ლინ კოფინი)

15:50-16:20 მარინე მახათაძე, თამარ ლალუაშვილი, სალომე ჭილაძე – მარჯორის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ სიტყვანის მიმართება „ვეფხისტყაოსანთან“

16: 20-16:40 ინესა მერაბიშვილი – მარჯორის ზღაპარი

16:40-17:00 მარიკა ოძელი – როგორ სწავლობდნენ ქართულ ენას მარჯორი და ოლივერი

17:00-17:20 მანანა რუსიეშვილი, ტრევიორ კარტლეჯი – მარჯორი უორდროპის წერილები

კონფერენცია ჩატარდება უნივერსიტეტის I კორპუსის (ჭავჭავაძის გამზ. 1), 115-ე აუდიტორიაში. კონფერენციის დასაწყისი 15:00 საათი.

გთხოვთ დაესწროთ.

პატივისცემით, საორგანიზაციო კომიტეტი